Erasmus+

სტუ-ს ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის თანამშრომლის მობილობა სტამბოლის ბილგის უნივერსიტეტში

მიმდინარე წლის 11-15 აპრილს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი ნინო ომანაძე Erasmus+ საერთაშორისო მობილობის პროექტის ფარგლებში, აკადემიური საქმიანობის განხორციელების მიზნით სტუმრობდა სტამბოლის ბილგის უნივერსიტეტს.




Erasmus+ მობილობის ფარგლებში სტუ-ს ახალგაზრდა ლექტორმა თურქულ უნივერსიტეტში წაიკითხა ლექციები „ადამიანური რესურსების მენეჯმენტის“ აქტუალურ თემებზე. ასევე, წარადგინა პრეზენტაცია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შესახებ.

მონიტორინგის მიზნით ასისტ. პროფ. ნინო ომანაძე შეხვდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებს, ვალერიან ბენაშვილს (ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი) და ნათია მანჯგალაძეს (ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი), რომლებიც ამჟამად სტამბოლის ბილგის უნივერსიტეტში აგრძელებენ სწავლას Erasmus+ გაცვლითი პროგრამით. სტუდენტებმა მას გაუზიარეს თავიანთი შეხედულებები მასპინძელ უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო პროცესთან დაკავშირებით და დიდი კმაყოფილება გამოხატეს მასპინძელი უნივერსიტეტის, იქ მიმდინარე სასწავლო პროცესის მიმართ, ხაზი გაუსვეს უნივერსიტეტში არსებულ კომფორტულ გარემოს, ასევე, სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შორის არსებულ კეთილგანწყობასა და მეგობრულ დამოკიდებულებას.

ნინო ომანაძის ვიზიტი კეთილგანწყობილ ურთიერთთანამშრომლობისა და სტამბოლის ბილგის უნივერსიტეტის მონაწილეების მხრიდან აქტიურ მხარდამჭერ გარემოში წარიმართა. მას მიეცა საშუალება, დაეთვალიერებინა უნივერსიტეტის კამპუსი, მუზეუმი და ბიბლიოთეკა. მასპინძელმა პროფესორებმა სურვილი გამოთქვეს მომავალში თანამშრომლობის გაგრძელებისა.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში გაზიარებული იქნა უნივერსიტეტებში არსებული საუკეთესო პრაქტიკა და გამოცდილება.